

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	13
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	14
6. ძირითადი საშუალებები.....	15
7. სასაქონლო მატერიალური მარაგები	15
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
9. ვადაიანი დებოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში	16
10. ფული და ფულის ექვივალენტები	16
11. კაპიტალი	16
12. ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისთვის	17
13. საგადასახადო ვალდებულებები	17
14. მიღებული სესხები.....	17
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
16. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	18
17. თვითიდირებულება.....	19
18. სხვა შემოსავლი.....	19
19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
20. პირობითი ვალდებულებები.....	20
21. ფინანსური რისკების მართვა	21
22. ფინანსური ინტრუმენტების რეალური ღირებულება	23
23. არაფულადი ოპერაციები	24
24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	24
25. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	24

მმართველობის ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	26
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	27
3. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	27
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული	27
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	28
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	28
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფი“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მიწის, შენობა-ნაგებობების და სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფების გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში, რადგან არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივის მიკვლევადობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2021 წლის 31 დეკემბრით და შესადარის პერიოდში წარდგენილ თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას კვებითი მომსახურების გაწევის მიზნით დამკვეთისგან, თითოეულ სამხედრო ბაზაზე, უსასყიდლოდ მიღებული აქვს სასადილო ინვენტარი და კომუნალური მომსახურება. ფასს-15 მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტების თანახმად, მომხმარებლისგან მიღებული სარგებლისთვის, რომელიც ხელს უწყობს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, საწარმომ უნდა შეაფასოს, მოიპოვებს თუ არა იგი კონტროლს მისთვის თანამშრომლობის მიზნით გადაცემულ საქონელზე ან მომსახურებაზე და თუ ასეა, მაშინ საწარმომ ამგვარი მიღებული საქონელი ან მომსახურება უნდა ასახოს, როგორც მომხმარებლისგან მიღებული არაფულადი ანაზღაურება და ასევე უნდა აღიაროს შესაბამისი ხარჯი. 2021 და 2020 წელზე კომპანიას არ შეუფასებია დამკვეთისგან თანამშრომლობის მიზნით მიღებული მომსახურების რეალური ღირებულება. შესაბამისად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული უზუსტობის ეფექტი შემოსავლებსა და თვითღირებულებებზე. ჩვენი პირობა არ ვრცელდება საქმიანობის იმ შედეგებზე, რომლებიც ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში წარდგენილია საერთო მოგების/(ზარალის) შემდგომ.

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 20-ე შენიშვნაში, კომპანიას ბაზებზე მომსახურე თანამშრომლებისათვის სარგებლის სახით მიწოდებული აქვს კვებითი მომსახურება, რისი დაბეგვრის პოლიტიკაც კომპანიაში, 2020 წლის აგვისტომდე პერიოდში, ჩვენი აზრით განსხვავდება არსებული პრაქტიკისა და წინა გამოცდილებისგან. ჩვენი აზრით, საგადასახადო შემოწმების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 ივლისამდე პერიოდზე, კომპანიას დაერიცხება დამატებით გადასახდელი ძირი თანხა და ჯარიმა. გამომდინარე იქიდან, რომ არ არის შეფასებული ამ სარგებლის საბაზრო ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ ამ უზუსტობის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ დამკვეთზე, თავდაცვის სამინისტროზე. თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა არის ერთი წელი. კომპანიას არ გააჩნია გარანტიები და ბერკეტები, იმის შესაფასებლად, რომ მომსახურება გაგრძელდება უწყვეტად. გარდა ამისა, კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი ნაკადები ვერ უზრუნველყოფს საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, კომპანიის უნართან განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 26-30 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

2 აგვისტო, 2022

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულება ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

2 აგვისტო, 2022

თბილისი, საქართველო.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,706,531	1,983,957
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,706,531	1,983,957
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	2,512,398	1,894,761
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	4,635,098	3,777,455
ვადიანი დეპოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში	9	292,415	14,404
ფული და ფულის ექვივალენტები	10	74,198	366,698
სულ მიმდინარე აქტივები		7,514,109	6,053,318
სულ აქტივები		10,220,640	8,037,275
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,334,943	1,293,304
გაუნაწილებელი მოგება		534,759	809,643
სულ კაპიტალი	11	2,869,702	2,102,947
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისთვის	12	203,621	203,621
საგადასახადო ვალდებულებები	13	103,317	175,432
მიღებული სესხები	14	5,246,960	3,059,773
სავაჭრო ვალდებულებები	15	1,797,040	2,495,502
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,350,938	5,934,328
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,220,640	8,037,275

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 2 აგვისტო:

დირექტორი	ფინანსური აღრიცხვის
ალექსი ზანდარაშვილი	დეპარტამენტის უფროსი
	ალექსანდრე ყანდარელი
ფინანსური აღრიცხვის	
დეპარტამენტის უფროსის	
მოადგილე	
მანანა მენაბდიშვილი	

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,706,531	1,983,957
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,706,531	1,983,957
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	2,512,398	1,894,761
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	4,635,098	3,777,455
ვადიანი დეპოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში	9	292,415	14,404
ფული და ფულის ექვივალენტები	10	74,198	366,698
სულ მიმდინარე აქტივები		7,514,109	6,053,318
სულ აქტივები		10,220,640	8,037,275
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,334,943	1,293,304
გაუნაწილებელი მოგება		534,759	809,643
სულ კაპიტალი	11	2,869,702	2,102,947
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისთვის	12	203,621	203,621
საგადასახადო ვალდებულებები	13	103,317	175,432
მიღებული სესხები	14	5,246,960	3,059,773
სავაჭრო ვალდებულებები	15	1,797,040	2,495,502
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,350,938	5,934,328
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,220,640	8,037,275

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 2 აგვისტოს:

დირექტორი

ალექსი ზანდარაშვილი

ფინანსური აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი

ალექსანდრე ყანდარელი

ფინანსური აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე
მანანა მენაბდიშვილი

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	16	45,366,009	39,997,804
თვითღირებულება	17	(41,793,491)	(40,260,216)
საერთო მოგება/(ზარალი)		3,572,518	(262,412)
სხვა შემოსავალი	18	95,789	508,249
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	19	(3,739,953)	(3,427,645)
საოპერაციო ზარალი		(71,646)	(3,181,808)
ფინანსური შემოსავალი	9, 10	58,264	117,277
ფინანსური ხარჯი	14	(266,309)	(13,321)
საკუთსო მოგება/(ზარალი)		4,807	(42,728)
ზარალი დაბეგვრამდე		(274,884)	(3,120,580)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(274,884)	(3,120,580)

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019	1,293,304	3,930,223	5,223,527
მიმდინარე წლის ზარალი	-	(3,120,580)	(3,120,580)
31 დეკემბერი 2020	1,293,304	809,643	2,102,947
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,041,639	-	1,041,639
მიმდინარე წლის ზარალი	-	(274,884)	(274,884)
31 დეკემბერი 2021	2,334,943	534,759	2,869,702

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(274,884)	(3,120,580)
ცვეთა და ამორტიზაცია	319,065	179,683
ფინანსური ხარჯი	266,309	13,321
საპროცენტო შემოსავალი	(58,264)	(117,277)
საკურსო (მოგება)/ზარალი	(4,807)	42,728
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	247,419	(3,002,125)
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(617,637)	(145,616)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(857,643)	(1,249,463)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(698,462)	543,520
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(72,115)	155,762
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(1,998,438)	(3,697,922)
გადახდილი პროცენტი	(279,630)	(13,321)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(2,278,068)	(3,711,243)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	(44,118)
საინვესტიციო აქტივებებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	(44,118)
ფინანსური აქტივობები		
მიღებული სესხი	2,215,808	3,046,501
მიღებული პროცენტი	58,264	117,277
ფინანსურ აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	2,274,072	3,163,778
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	(3,996)	(591,583)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	381,102	1,005,798
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(10,493)	(33,113)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს*	366,613	381,102

*ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი მოიცავს საფინანსო ინსტიტუტებში განთავსებულ ვადიანი დეპოზიტების ნაშთს 292,415 ლარის ოდენობით (2020: 14,404 ლარი).

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსებულია 2014 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404482537. კომპანიის იურიდიულ მისამართია და საქმიანობის ადგილია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ჭანტურის ქ., №12, ხოლო ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემქა მე-9 კვარტალი, ზღვის უბანი, 21-ე და 22-ე კორპუსების მიმდებარედ.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ კადეტების, სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა.

კომპანიის მეწილეები: კომპანია დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ. 2015 წლიდან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით, უსასყიდლოდ, არსებობის ვადით არის გადაცემული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

მენეჯმენტის პოზიცია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის:

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები 2021 წლის 30 ივნისის შემდგომი პერიოდებისთვის - შესწორება ფასს 16-ში.
- ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა მეორე ეტაპი - შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16.

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთი, აღირიცხება ნომინალური ოდენობით. მომავალში ამოღების გარეშე დარჩენილი თანხების შესაბამისი რეზერვი აისახება მოგება-ზარალში, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
ოფისის აღჭურვილობა	5-10
სასადილოს ინვენტარი	7
სატრანსპორტო საშუალებები	7

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალ ინსტრუმენტის ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

- **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.
- **FVOCI** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკუროსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.
- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ამისთვის ფასდება ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც დამოკიდებულია ხელშეკრულებით არებული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის დონეზე. შედეგად, განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. კომპანია მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან სამი თვის განმავლობაში.
- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამოებს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

- **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარი გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა, კომპანია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას
- კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:

- (i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;
- (ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

• **კომპანია როგორც მეიჯარე.** საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას კომპანია, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით. როდესაც კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, „კომპანიამ“ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ:

ა) კომპანია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ კომპანიას არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

მიღებული სუბსიდია აღრიცხულია სხვა შემოსავალში და წარდგენილია ხარჯებისგან განცალკევებით.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია. ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში. კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავალი. ფასს 15-ის მოთხოვნების მიხედვით კომპანია აღრიცხავს კვებითი უზრუნველყოფის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სახელმწიფოებო ვალდებულება წარმოადგენს კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა. თუ დამკვეთი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის მომსახურების მიწოდებამდე, სახელმწიფოებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელმწიფოებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ შესასრულებელ ვალდებულებებს.

კომპანია ყველა ოპერაციაში გამოდის პრინციპალის სახით.

კომპანია მომხმარებლებს არ სთავაზობს გარანტიებს, გადახდილი თანხის ანაზღაურების და პროდუქციის დაბრუნების უპირობო უფლებას. კომპანია არ გეგმავს ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის კლიენტისთვის გადაცემის მომენტიდან ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს.

მომხმარებლებთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები. როდესაც კონტრაქტის მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, კომპანია ვალდებულია აღრიცხოს კონტრაქტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო აქტივი ან ვალდებულება, რაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის დამოკიდებულებაზე. კომპანია ვალდებულია წარადგინოს ნებისმიერი უპირობო უფლებები ცალკე, როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

მომხმარებლისგან მიღებული არაფულადი ანაზღაურება. თუ მომხმარებელი საწარმოს აწვდის საქონელს ან მომსახურებას (მაგალითად, მასალებს, მანქანადაწვანებებს, ან სამუშაო ძალას), რათა ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულებაში, საწარმო აფასებს მოიპოვებს თუ არა იგი კონტროლის მისთვის თანამშრომლობის მიზნით გადაცემულ საქონელზე ან მომსახურებაზე. თუ ასეა, მაშინ საწარმომ ამგვარი მიღებული საქონელს ან მომსახურებას ასახავს როგორც მომხმარებლისგან მიღებული არაფულადი ანაზღაურებას.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდი შესაბამისად აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.**

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია რაიმე სახის საკონტრაქტო ვალდებულებით, მისი გაცვეთა ხდება საკონტრაქტო პერიოდზე.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.**

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

• ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვების მართებულობა.

კომპანიის უნარზე განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- მომხმარებელთან გაფორმებული მოკლევადიანი ხელშეკრულება - კომპანიას თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული აქვს კვებითი უზრუნველყოფის მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულება გაფორმებულია ერთი წლის ვადით და მისი ხელახალი გაფორმება ხდება ყოველი წლის ბოლოს. კომპანიას არ აქვს გარანტია, რომლის საფუძველზეც შეძლებდა მომსახურების ხანგრძლივობის გონივრული ვადით შეფასებას.
- კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი.
- კომპანია დგას ლიკვიდურობის რისკის წინაშე, კერძოდ 2021 წლის განმავლობაში აქტიურად იყენებდა საკრედიტო ხაზს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

მენეჯმენტმა იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

- კომპანიას 2021 წლის ბოლოს უკვე გაფორმებული აქვს 2022 წლის კვებითი უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულება და მიმდინარე პერიოდში არ არსებობს გარემოებები, რომლებიც ხელს შეუშლის 2022 წლის ბოლოს 2023 წლის მომსახურებაზე ხელშეკრულების გაფორმებას;
- 2022 წლის მომსახურების გაფორმების დროს მხარეების მიერ მხედველობაში იქნა მიღებული ინფლაციის დონე და შესაბამისად მოხდა ტარიფების გადახედვა და ზრდა;
- მენეჯმენტი გეგმავს მოკლევადიან პერსპექტივაში მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია.

მენეჯმენტს სჯერა, რომ ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს კომპანიას ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამ შემასუსტებული გარემოებების გათვალისწინებით, მენეჯმენტი დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს-16-ის კორექტირება);
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირება);
- წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და კორექტირებები სადაზღვევო ხელშეკრულებებში.
- სააღრიცხვო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 8-ში).

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	მიწა	შენობა- ნაგებობა	ოფისის აღჭურვილობა	სასადილოს ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	822,973	954,350	296,184	371,424	345,733	2,790,664
შემოსვლა	-	-	11,995	6,123	26,000	44,118
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	822,973	954,350	308,179	377,547	371,733	2,834,782
შემოსვლა	-	-	-	-	1,041,639	1,041,639
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	822,973	954,350	308,179	377,547	1,413,372	3,876,421
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2019	-	88,254	207,447	166,497	208,944	671,142
ცვეთის ხარჯი	-	47,685	27,478	53,164	51,356	179,683
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	135,939	234,925	219,661	260,300	850,825
ცვეთის ხარჯი	-	47,685	18,902	53,894	198,584	319,065
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	183,624	253,827	273,555	458,884	1,169,890
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	822,973	818,411	73,254	157,886	111,433	1,983,957
31 დეკემბერი 2021	822,973	770,726	54,352	103,992	954,488	2,706,531

კომპანიას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან 2017 წლის 15 მარტს, უზურფრუქტის სახით, არსებობის ვადით მიღებული აქვს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული მიწა და მასზე განთავსებული შენობა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული აქტივების გადმოცემის მიზანს წარმოადგენდა ხარჯების ოპტიმიზაცია და არ არის დაკავშირებული მომხმარებელთან არსებული ვალდებულების შესრულებასთან, კომპანია გადმოცემულ აქტივებს განიხილავს, როგორც ძირითად საშუალებებს.

სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 186,131 ლარს. (2020: 148,748 ლარი).

2021 წელს თვითღირებულებას მიკუთვნებული ცვეთის ხარჯი შეადგენდა 202,641 ლარს (2020: 53,164 ლარი).

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნედლეული და მასალები	1,835,567	1,326,976
სათადარიგო ნაწილები	275,440	179,617
სარეცხი და საწმენდი საშუალებები	257,012	288,046
სარეალიზაციო მარაგები	117,126	95,061
სხვა	27,253	5,061
სულ	2,512,398	1,894,761

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	4,663,338	3,804,510
სხვა მოთხოვნები	11,554	12,739
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	4,674,892	3,817,249
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(39,794)	(39,794)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	4,635,098	3,777,455

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია აქტივების მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას შემდგომი მოვლენების გათვალისწინებით.

კომპანიის შემოსავლები კონცენტრირებულია მხოლოდ ძირითად მომხმარებელზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, რომელთანაც დებიტორული დავალიანება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,547,225 ლარს (2020: 3,722,018 ლარი).

9. ვადიანი დეპოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში

ვადიანი დეპოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში 292,415 ლარის ოდენობით (2020: 14,404 ლარი) მოიცავს კომერციულ ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს, რომლის ვადა 3 თვეზე მეტია.

განთავსებულ ანაგარიშებზე კომპანიას ერიცხება წლიური საპროცენტო სარგებელი 9.5%. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 56,390 ლარი (2020: 117,277 ლარი).

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	63,918	355,803
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	10,280	10,895
სულ	74,198	366,698

კომპანიას კომერციულ ბანკში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშზე ლარში ერიცხება წლიური საპროცენტო სარგებელი 5%. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 1,878 ლარი (2020: 2,019 ლარი).

11. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს 2015 წელს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ არაფულად შენატანებს, კერძოდ, ძირითად საშუალებებსა და მატერიალურ მარაგებს, შესაბამისი თანხებით 671,207 და 622,097 ლარი.

2021 წელს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა 1,041,639 ლარის ქონებრივი შენატანი.

დივიდენდები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესადარის პერიოდებში არ მომხდარა დივიდენდის გამოცხადება.

12. ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისთვის

ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისათვის მოიცავს სასამართლო დავასთან დაკავშირებულ ანარიცხს. კომპანიას ერთ-ერთ მომწოდებელთან აქვს დავა მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით. მოსარჩელეს უკვე აქვს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს დაკმაყოფილებული აქვს მოსარჩელეს მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის შესახებ 203,620 ლარის ოდენობით. კომპანიას აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული აქვს სააპელაციო სასამართლოში, თუმცა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების გათვალისწინებით, კომპანიის შეფასებით იმის ალბათობა, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღოს პირველი ინსტანციისგან განსხვავებული გადაწყვეტილება დაბალია.

13. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა ჯგუფზე, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

14. მიღებული სესხები

მიღებული სესხი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	5,246,960	3,046,452
დარიცხული პროცენტი	-	13,321
სულ	5,246,960	3,059,773

ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები წარმოადგენს საკრედიტო ხაზს.

2021 წლის 16 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიიღო 6,000,000 ლარის, ხოლო 2021 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით კი 4,000,000 ლარის საკრედიტო ხაზი, წლიური საპროცენტო სარგებლით 14%.

2021 წლის 18 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიიღო 3,000,000 ლარის საკრედიტო ხაზი წლიური სარგებლით - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4,5%.

საკრედიტო ხაზით სარგებლობის მიზნობრიობას წარმოადგენდა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების დაფინანსება

საკრედიტო ხაზის მიღების წინაპირობას წარმოადგენდა, კომერციულ ბანკს, თავდაცვის სამინისტროსა და კომპანიას შორის გაფორმებული სამხმრთო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საკრედიტო ხაზის დაფარვის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს მიერ კომპანიისთვის 2022 წლის იანვარში გადასახდელი მომსახურების საფასური.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მოძრაობა წლის განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021	2020
საწყისი ნაშთი	3,059,773	-
სესხის მიღება	23,736,000	3,033,180
სესხის გადახდა	(21,520,192)	-
პროცენტის დარიცხვა	266,309	13,321
პროცენტის გადახდა	(279,630)	-
სესხის გადაფასება	(15,300)	13,272
საბოლოო ნაშთი	5,246,960	3,059,773

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	1,749,881	2,365,494
გადასახდელი ხელფასები	47,159	120,908
სხვა ვალდებულებები	-	9,100
	1,797,040	2,495,502

16. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

შემოსავლის სახე	2021	2020
კვებითი მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	44,731,045	38,899,467
საცალო რეალიზაცია	634,964	1,098,337
სულ	45,366,009	39,997,804

დეზაგრეგირებული ინფორმაცია კვებითი მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების შესახებ:

	2021	2020
ბაზებზე განთავსებული ქართველი სამხედროებისთვის გაწეული კვებითი მომსახურების შემოსავალი	44,017,130	35,352,857
სამხედრო წვრთნების ფარგლებში ქართველი სამხედროებისთვის გაწეული კვებითი მომსახურების შემოსავალი	-	2,215,342
საერთაშორისო წვრთნების ფარგლებში ამერიკელი სამხედროებისთვის გაწეული კვებითი მომსახურების შემოსავალი	282,308	644,234
სხვა კვებითი მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	431,607	687,034
სულ	44,731,045	38,899,467

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გაგრძელება)

ინფორმაცია დეზაგრეგირებული საცალო რეალიზაციის შესახებ:

	2021	2020
თამბაქო	242,109	599,661
კომერციული სასადილო	199,439	184,267
უალკოჰოლო სასმელები	86,939	166,066
საკვები პროდუქტები	73,423	97,763
ჰიგიენური საშუალებები	18,462	34,772
სხვა	14,592	15,808
სულ	634,964	1,098,337

ინფორმაცია სახელშეკრულებო მოთხოვნა/ვალდებულებებზე:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საკონტრაქტო აქტივები (შენიშვნა 8)	4,635,098	3,777,455

მომხმარებლისგან მიღებული არაფულადი ანაზღაურება

კომპანიას კვებითი მომსახურების გაწევის მიზნით მომხმარებლისგან, თითოეულ სამხედრო ბაზაზე, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების მიზნით უსასყიდლოდ მიღებული აქვს სასადილო ინვენტარი და კომუნალური მომსახურება. ფასს 15 მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტების თანახმად მომხმარებლისგან მიღებული სარგებელი, რომელიც ხელს უწყობს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, საწარმომ უნდა შეაფასოს, მოიპოვებს თუ არა იგი კონტროლს მისთვის თანამშრომლობის მიზნით გადაცემულ საქონელზე ან მომსახურებაზე და თუ ასეა, მაშინ საწარმომ ამგვარი მიღებული საქონელი ან მომსახურება უნდა ასახოს, როგორც მომხმარებლისგან მიღებული არაფულადი ანაზღაურება. 2021 წლის 31 დეკემბრით და შესადარისი პერიოდისათვის კომპანიას არ უმსჯელია მოიპოვა თუ არა კონტროლი თანამშრომლობის მიზნით მიღებულ საქონელსა და მომსახურებაზე.

17. თვითღირებულება

თვითღირებულება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021	2020
კვებითი მომსახურება	41,223,523	39,151,528
საცალო რეალიზაცია	569,968	1,108,688
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	41,793,491	40,260,216

კვებითი მომსახურების თვითღირებულება მოიცავს საქონლის და ნედლეულის შესყიდვის ხარჯს, პროდუქციის დამზადებისთვის გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს, ხელფასს, ცვეთის ხარჯს, საწვავის დანახარჯს და სხვა.

18. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021	2020
შემოსულობა ჯარიმებიდან	38,082	205,388
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	13,407	289,590
სხვა შემოსავალი	44,300	13,271
სულ	95,789	508,249

შემოსულობა ჯარიმებიდან მოიცავს მომწოდებელი კომპანიების მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო დაკისრებულ ჯარიმებს.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. სხვა შემოსავლი (გაგრძელება)

უსასყიდლოდ მიღებული საქონელი მოიცავს მომწოდებლების მიერ უსასყიდლოდ გადმოცემულ პროდუქციას, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ლოქდაუნის პერიოდში მიღებულ დახმარებასთან.

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	2,957,862	2,679,681
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	119,916	126,519
საპენსიო ხარჯი	114,827	115,392
საწვავის ხარჯი	102,653	99,692
კომუნიკაციის ხარჯი	86,529	84,638
სატრანსპორტო საშუალების რემონტის ხარჯი	80,153	77,406
კომუნალური გადასახადის ხარჯი	44,089	37,303
სამედიცინო ინვენტარის და სადეზინფექციო მომსახურების ხარჯი	10,276	46,158
სხვა ხარჯი	223,648	160,856
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	3,739,953	3,427,645

2020 წელს COVID -19-ის გავრცელების პრევენციის გამო გაზრდილია სამედიცინო ინვენტარისა და სადეზინფექციო მომსახურების ხარჯი.

20. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია ბაზაზე მომუშავე თანამშრომლებს აწვდის კვებით მომსახურებას, რაც საგადასახადო მიზნებისთვის განიხილება დღგ და საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებად. გადასახადების დაანგარიშებისთვის ამ პროდუქციის გასაყიდ ფასად გამოყენებულია საცალო ფასი ნარჩენებისთვის რომლის რეალიზაცია ხდება ფერმერებზე.

მენეჯმენტის შეფასებით არ არის მოსალოდნელი დამატებითი ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან საგადასახადო შემოწმების შედეგად და შემოწმებული გაიზიარებს კომპანიის მიდგომას.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, კომპანია კვებითი მომსახურების უწყვეტად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საკვები პროდუქტების მომწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული აქვს მკაცრი სანქციები, რომლის ამოქმედებაც ხშირ შემთხვევაში იწვევს სასამართლო დავებს. კომპანია თითოეულ ქეისს განიხილავს ინდივიდუალურად და აფასებს მოსალოდნელ ფულადი ნაკადების გადინების ალბათობას. მენეჯმენტის შეფასებით, არ არსებობს ანარიცხის შექმნის საჭიროება გარდა, 12- ე შენიშვნაში მოცემული ანარიცხისა.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს სავაჭრო ვალდებულება. ფინანსური ვალდებულებები აფინანსებს კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო აქტივობებს. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია სავაჭრო მოთხოვნები და ფული პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან.

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს სავაჭრო კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. მიღებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, რომლის დაფარვები უზრუნველყოფილია თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული გადახდებით. კომპანიას ასევე აქვს საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,635,098	3,777,455
ვადიანი დეპოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში	292,415	14,404
ფული და ფულის ეკვივალენტები	63,918	355,803
სულ ფინანსური აქტივები	4,991,431	4,147,662
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,797,040	2,495,502
მიღებული სესხები	5,246,960	3,059,773
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,044,000	5,555,275

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,635,098	3,777,455
ვადიანი დეპოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში	292,415	14,404
ფული და ფულის ეკვივალენტები	63,918	355,803
სულ ფინანსური აქტივები	4,991,431	4,147,662

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები კონცენტრირებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ შეკვეთების მოცულობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით დავალიანების დაფარვის ვადა არის მომსახურების გაწევიდან 30 დღე. თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობის გამოცდილებიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რადგან მომწოდებლებთან და მომხმარებელთან თანამშრომლობს ეროვნულ ვალუტაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,635,098	-	4,635,098
ვადიანი დეპოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში	292,415	-	292,415
ფული და ფულის ექვივალენტები	63,918	-	63,918
სულ ფინანსური აქტივები	4,991,431	-	4,991,431
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,797,040	-	1,797,040
მიღებული სესხები	5,246,960	-	5,246,960
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,044,000	-	7,044,000

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,777,455	-	3,777,455
ვადიანი დეპოზიტები საფინანსო ინსტიტუტებში	14,404	-	14,404
ფული და ფულის ექვივალენტები	355,803	-	355,803
სულ ფინანსური აქტივები	4,147,662	-	4,147,662
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,495,502	-	2,495,502
მიღებული სესხები	-	3,059,773	3,059,773
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,495,502	3,059,773	5,555,275

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ დგას სავალუტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები, საკმარისი ორი თვის განმავლობაში. ეს გამოიწვევს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული დაფარვის ვადების მიხედვით:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,797,040	-	-	1,797,040
მიღებული სესხები	5,246,960	-	-	5,246,960
სულ ვალდებულებები	7,044,000	-	-	7,044,000

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,495,502	-	-	2,495,502
მიღებული სესხები	3,059,773	-	-	3,059,773
სულ ვალდებულებები	5,555,275	-	-	5,555,275

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- უზრუნველყოს ხარჯების ოპტიმიზაცია.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

22. ფინანსური ინტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან მოკლევადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები) ხასიათდება, მათ რეალური ღირებულებას უახლოვდება.

ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხების რეალური ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

23. არაფულადი ოპერაციები

2021 წელს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა 1,041,639 ლარის ქონებრივი შენატანი კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
დებიტორული დავალიანება	წილის მმართველი	4,547,225	3,722,018
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	კავშირის სახე	2021	2020
შემოსავლები	წილის მმართველი	43,785,097	38,717,801
ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან		2021	2020
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები		198,843	191,400

25. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

გეოპოლიტიკური ვითარება აღმოსავლეთ ევროპაში გამწვავდა 2022 წლის თებერვლის ბოლოს, მას შემდეგ რუსეთმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები უკრაინის წინააღმდეგ. პოლიტიკური მოვლენები და სანქციები მუდმივად იცვლება და განსხვავდება მთელ მსოფლიოში. ამჟამად არ არსებობს მითითება, იმის შესახებ რომ ამ ფაქტს ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე. მენეჯმენტი ახორციელებს მიმდინარე მოვლენების მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების დაცვა.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმადგენს კომპანიას, რომლის 100% წილი მართვის უფლებით გადაცემულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის (შემდგომში - „სამინისტრო“).

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული საიდუმლო ხელშეკრულების ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა. ასევე, საერთაშორისო სწავლებებში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

კომპანია სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განთავსებულ სამხედრო ნაწილებსა და ბაზებზე.

კომპანიასა და სამინისტროს შორის მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება ფორმდება ერთი წლის ვადით.

კომპანიას კვებითი უზრუნველყოფისთვის დაქირავებული ყავს შესაბამისი სპეციალისტები, რომელთა რიცხვიც საერთო ჯამში აჭარბებს 1,000 ადამიანს. ასევე, კომპანია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფს კვებითი მომსახურებისთვის საჭირო პროდუქტების, ინვენტარის და სხვა შესყიდვებს.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	45,366,009	39,997,804
სხვა შემოსავალი	95,789	508,249

არსებული პროდუქტები და მომსახურება

კომპანიის შემოსავლები იყოფა შემდეგ წყაროებად:

1. სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
2. სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
3. ამერიკელი და სხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
4. კომერციული მაღაზიებიდან მიღებული შემოსავალი;
5. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (სარგებელი ბანკში და სხვა);

კომპანიის მთლიანი შემოსავლის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალი (საშუალოდ 90%);

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული კომპანიის ძირითადი შემოსავალი დამოკიდებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ შეკვეთის მოცულობასთან, ამ მხრივ შემოსავლის ზრდაზე კომპანიის გავლენა მინიმალურია, რაც ბუნდოვანს ხდის გრძელვადიან პერიოდში კომპანიის შემოსავლების და მოგების მაჩვენებლის პროგნოზს.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 45,366,009 ლარი, რაც 12%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, რისი ძირითადი გამომწვევი მიზეზიც არის 2021 წლის მომსახურებაზე გაზრდილი ტარიფები

ძირითადი კოეფიციენტები:	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სულ შემოსავალი	45,461,798	40,506,053
სულ აქტივები	10,220,640	8,037,275
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	1,451	1,072
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.02	1.02
უკუგება კაპიტალზე (ROE)	(0.10)	(1.48)
უკუგება აქტივებზე (ROA)	(0.03)	(0.39)
წმინდა მოგების მარჟა	-1%	-8%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: კომპანიის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 1100-დან 1400-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

ძირითადი მომწოდებლები

კომპანია მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ერთ რომელიმე მომწოდებელზე, კომპანიის მიერ გამოყენებული ნედლეული და მასალები მოიცავს 100-ზე მეტი ნომენკლატურის პროდუქციას, რომლის მოწოდებაც ხდება დისტრიბუტორების მიერ წინასწარ შეთანხმებული პირობებით, რომელიც დარეგულირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე განხორციელებული შესყიდვებით.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია სახელმწიფოს მიერ და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა ამისა კომპანიის 100% წილის მართვის უფლებამოსილება მინიჭებულია თავდაცვის სამინისტროსთვის, რომელიც ადგენს დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროსთვის უწყვეტი მომსახურების გაწევა.

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია ხარჯების ეფექტური მართვა, კერძოდ გარკვეული პერიოდულობით ხდება:

1. დანახარჯების ანალიზი, თვითღირებულების კომპონენტების ოპტიმიზაცია;
2. მარაგების ნაშთის კონტროლი შერჩევითი ინვენტარიზაციის საშუალებით;
3. ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგების წარმოება;
4. ფულადი ნაკადების ანალიზი, დაგეგმვა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	შენიშვნა
ძირითადი საშუალებები	2,706,531	1,983,957	შენიშვნა #1
საწესდებო კაპიტალი	2,334,943	1,293,304	შენიშვნა #1
მიღებული სესხები	5,246,960	3,059,773	შენიშვნა #3
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	45,366,009	39,997,804	შენიშვნა #4
სხვა შემოსავალი	95,789	508,249	შენიშვნა #4

შენიშვნა #1

2021 წელს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა 1,041,639 ლარის ქონებრივი შენატანი.

შენიშვნა #2

2021 წელს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები.

შენიშვნა #3

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან გაზრდილია მომსახურების ტარიფების ზრდის გამო.

შენიშვნა #4

სხვა შემოსავალის შემცირება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კომპანიას 2020 წელს პანდემიის გამო მომწოდებლებისგან მიღებული აქვს უფრო მეტი უსასყიდლო საქონელი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

განხორციელებულ შეკვეთებზე და პროდუქტის საწარმოებლად საჭირო ნედლეულსა და მასალებზე, შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,689	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2)%
საშუალო წლიური ინფლაცია	13.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,152.8	616.9
უმუშევრობის დონე	20.6%	18.5%

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები კონცენტრირებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული შეკვეთების მოცულობაზე. ბიზნესის რენტაბელობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, დავალიანების დაფარვის ვადა არის მომსახურების გაწევიდან 30 დღე. თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობის გამოცდილებიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რადგან მომწოდებლებთან და მომხმარებელთან თანამშრომლობს ეროვნულ ვალუტაში.

კომპანია არ დგას სავალუტო რისკის წინაშე, რადგან არ აქვს ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე, თუმცა კომპანიას არ წარმოეშვება დამატებითი რისკები რადგან საკრედიტო ხაზი დაფარულია 2021 წლის იანვარში და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვნა რისკ ფაქტორს.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 2 აგვისტო:

დირექტორი

ალექსანდრე ზანდარაშვილი

**ფინანსური აღრიცხვის დეპარტამენტის
უფროსი**

ალექსანდრე ყანდარელი

**ფინანსური აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე**

მანანა მენაბდიშვილი

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.


მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 2 აგვისტოს:



დირექტორი
ალექსანდრე ზანდარაშვილი



ფინანსური აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ალექსანდრე ყანდარელი



ფინანსური აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე
მანანა მენაბდიშვილი